№ 434. ხუთშაბათი, 22 იანვარი 1896—1898 ხუთშაბათი, 22 იანვარი, № 434.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე
ადამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ. საზოგადოების" წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცლის" გამოცემა

მეფე ერეკლეს სახსოვარი

(1798—11 იანვარი—1898)

იყიდება წერა-კითხვის გამავრც. საზ. წიგნის მაღაზიაში
გაზეთ «ცნობის ფურცლის» ხელის-მომწერთ
წიგნი დაეთმობა უფასოდ, გითარცა ნობათი

წიგნი შეიცავს 48 გვერდს, მეფე ერეკლეს სურათით, ისტორიულ-ბიოგრაფიულ ცნობებით მ. ჯანაშვილისა და მრავალი ლექსები და თხზულებანი ჩვენებურ პოეტთა, მწერალთა და სხვა. (10—7)

პირველი კერძო სამკურნალო.
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექიმი ქალი **რუდენკო** 10½—11½ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ურის ყვავილს.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11½—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.

ი. ფ. ბროცკევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.

ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

საღამოობით

ა. მ. ზუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანცი 6—6½ ს.

ა. ნ. შმაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ზედაკანის ავად.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница Д-ра *Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 22 იანვარს

ბენეფისი

ქ-ნ ეფ. ს. მესხისა

ქართულ დრამატიულ დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

= პირველად ახალი პიესა =

ადრიენა ლეკუვრერ

პირველი აქტრისა საფრანგეთის თეატრისა
დრამა 5 მოქმ. სკრიბისა და ლეგუვესი. თარგ. დ. ს. მესხისა

მოქმედნი პირნი:

ადრიენა ლეკუვრერ	**ე. ს. მესხისა**
მიშონე, რეჟისორი	კ. ს. მესხი
პრინცი ბიულიონი	ბ. კანდელაკი
პრინცესა, ამისი მეუღლე	ქ. კარგარელი
გრაფი მორიც საქსონელი	ბ. სვიმონიძე
ჰერცოგინა დოაონი	ქ. გამყრელიძისა
აბატი დე-შასელი	ბ. შათირიშვილი
მარკიზი	ბ. ადამიძე
ქუვენო (არტისტები)	ქ. გარელი
კინო (არტისტები)	ბ. წერეთელი
პუასონ (არტისტები)	ბ. კარბელი
ტრიულიარ, რეჟისორის თანაშემწე	ბ. იამაზიშვილი

სტუმრები და მოსამსახურენი, მოთამაშენი.

II

არც აქეთ არც იქით

ვოდ. ერთ მოქმედ. ვ. გუნიასი
ვ. აბაშიძის მონაწილეობით
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი კ. მესხი

მინდა ვიყიდო

(12—2)

ცოცხალი

კავკასიის გარეული ცხოველები:
ირმები, ჯეირნები, გარეული თხები, შურთხები, ჯიხვები, გვერხვები, არჩვები, არნები, ფოცხვერები. გარეული ვირები, ჯორცხენები და სხვ.
საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.
მსურველთ მიჰმართონ პირადად ან წერილით მიხეილის ქუჩაზე № 106, ეზოში; ბარამოვის სახ.
ჰუგო ვინკლერს
Тифлисъ, Михайловская, № 106, **Гуго Винклеру.**

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და სხვა სისქისა და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია

უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანასმიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ტელეგრ. ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—296)

გურიის ამხანაგობის

„შუამთაელის"

წლიური კრება

დანიშნულია ქ. ოზურგეთში 13 თებერვალს.

კრებამ უნდა განიხილოს და მოიწონოს წარსული წლის ანგარიში და ამოირჩიოს, თანახმად ახალი წესდებისა, [illegible]
(3—1) ამხანაგობის [illegible] გ. თავართქილაძე

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით **ივ. მაჭავარიანისა**
ნაწილი პირველი: **საერო კრება.**
ნაწილი მეორე: **სამშობლოს განსაცდელი.**
ფასი თითო ნაწილისა **სამი აბაზი**
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური

იქვე იყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები:
ბრჭყალები 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
ივდითი ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—6)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის

ნ. დიდებულიძისა

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერატუროვის სახ. № 146.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად, და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—73)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ვ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანის, ნერვების, საქირურგო, კუჭისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ვ. თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლის"
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.
20 იანვარი

მოსკვი. სოლოდოვნიკოვის თეატრის წაკიდებულ ცეცხლის ჩასაქრობად ობერ-პოლიცმეისტერმა პოლკოვნიკმა ტრეპოვმა პირის სახე დაიწვა.

პარიზი. პალატა შეუდგა ზღვათა უწყების ხარჯ-აღირიცხვის განხილვას. ლოკრუამ ხელ-ახლავ წარმოსთქვა, რომ ფლოტი ცუდს მდგომარეობაში არისო. ორატორს მაგალითად მოჰყავს, რომ ყველა სახელმწიფოები ფლოტის გაძლიერებას და გაუმჯობესებას სცდილობენ, საფრანგეთის ფლოტი-კი ხის გემებისაგან შესდგებაო. გერმანეთი საოცარის წინ-დახედულობით სცდილობს, რომ გამაგრდეს ზღვაზე. მისი გემები სხვა სახელმწიფოთა გემებზე უფრო სწრაფი და გამძლე არიან; თუ ომი ატყდა, იგი შეიძლებს 15 გემი გაგზავნოს ლამანშშიო; ჩვენ ნავთ-სადგურებიც ცოტა გვაქვს, რომ გემებმა თავი შეიფა-

რონ და დაზიანებული გემები იქ შეაკეთონ. ერთად ერთი ტულონი გვაქვს მთელს ხმელეთ-შუა ზღვაზეო. ლოკრუას აზრით, საჭიროა, რომ გიბრალტარის პირდაპირ აშენდეს ნავთ-სადგური და გემები იყოლიონ იქ, რომელთაც, თუ საჭიროება მოითხოვს ხმელეთშუა ზღვაში შესავალი უნდა შეუკრან ინგლისის გემებს. ლოკრუა მეტის მეტად დაიქანცა ლაპარაკით და თავის გრძელი სიტყვის დაბოლოვება გადადვა ხვალამდე. სხდომაც გადიდვა მეორე დღემდე.

◆

კანონი და მთავრობის განკარგულება.

ადმინისტრაცია. დანიშნულ იქნნა: ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელე, კოლეჟსკი რეგისტრატორი მაკალათია — ბათუმის ოლქის სამმართველოს თარჯიმანად.

◆

ახალი ამბავი

⁂ **დასჯილი ჯიბგირი.** ორშაბათს, 10 იანვარს, ბულვარზე კრუჟოკის მახლობლად ერთი ნაბად მოსხმული ავლაბრის ჯიბგირი დასეირნობდა, თურმე. ზემოდანაც ერთი სოფლელი კაცი მოდიოდა. ჯიბგირს განეზრახა სოფლელის გაძარცვა და აი რა ხერხი უხმარია: ამოუღია ჯიბიდან ცარიელი საფულე და დაუგდია მიწაზედ, თვითონ კი შორი ახლოს დამდგარა სოფლელმა კაცმაც მოაღწია, დაუნახავს თუ არა საფულე, აუღია და ჯიბეში ჩაუდვია; ჯიბგირი მისულა და უთქვამს: ნაპოვნი ფული ნახევარი მეც მერგება, რადგანაც შენზედ ახლოს მე ვიდექიო. სოფლელმაც ამოიღო ნაპოვნი საფულე ფულების გასაყოფად, მაგრამ რა უნდა გაეყო, რაც შიგ არა ყოფილა-რა. ჯიბგირმა ჩხუბი დაუწყო — ნაპოვნი ფული ჯიბეში გაქვსო. სოფლელმა იფიცა: ღმერთი, რჯული; გნებავს ჩემ ქისას გიჩვენებ, ხუთ მანეთზე მეტი არა მაქვსო. ჯიბგირმაც უთხრა, მიჩვენე და დაგიჯერებო. სოფლელმა ამოიღო თავისი ქისა საჩვენებლად; ჯიბგირმა გამოსტაცა ხელიდან, გაქცევაც დააპირა, მაგრამ მალე დაიჭირეს, თან ბევრი ხალხიც დაედევნა და სოფლელი კაცის მაგივრად თითოოროლა სილა სხვებმაც უთავაზეს, და კარგა რომ დაუზილეს გვერდები და ყურები აუწითლეს, მერე პოლიციაში წაასხეს ვირის აბანოში დასაძინებლად.

⁂ **თოვლისაგან შეკრული გზის გახსნა.** 20 იანვარს გაუწმენდიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგი თოვლის ზვავისაგან ყვირილასა და გორს შუა და აგრეთვე სურამისა, ჭიათურის და ტყიბულის შტოებზე და მატარებელთა მიმოსვლა განუახლებიათ. ჯერ-ჯერობით გაუწმენდელია მხოლოდ ბორჯომის შტო რკინის გზისა.

⁂ **სამხედრო-საქართველოს გზის მდგომარეობა.** გაზ. „ნოვ. ობოზ“-ს დეპეშით ატყობინებენ ფასანაურიდამ; „20 იანვარს საღამოს 6 საათზე გაიხსნა გზა დუშეთსა და წილკანს შუა.“

⁂ **მამის მოკვლის განზრახვა.** 23 თებერვალს ქუთაისის ოლქის სასამართლომ უნდა განიხილოს თავ. ივანე გურიელის საქმე, რომლითაც მას ჰბრალდება განზრახვა მამის მოკვლისა. თავ. ივ. გურიელი საკმაოდ განათლებული კაცია, ინტელიგენტი და ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ ყველა მისი ნაცნობნათესავები მწარედ ჩააფიქრა ამ საქმემ და ჯერ'ვერავის გამოუკვლევია, თუ რამ აიძულა ეს განათლებული კაცი, რომ ასეთი შემზარავი ბოროტ-მოქმედება განიზრახა. „(ჩერნ. ვესტ.“) ვნახოთ რას აღმოაჩენს სასამართლო?

⁂ **დარაჯებისაგან ნაცემის სიკვდილი.** გაზ. „ჩერნ. ვესტ.“-ს ატყობინებენ სამურზაყანოდამ (აფხაზეთი), რომ მდ. ინგურის ნაპირას ორმა პოლიციის დარაჯმა ისე უწყალოდ სცემეს სოფლის სასამართლოს ერთს მოხელეთაგანს, რომ საბრალო იმ ღამესვე მოკვდაო.

⁂ **ქუთაისის საყასბოს იჯარით აღება.** ვიღაც მიხეილ გოგინავას წინადადება შეუტანია ქუთაისის ქალაქის გამგეობაში იჯარით მომეცით ქალაქის საყასბო 7500 მან. წლიწადშიო. ამ წინადადებას მალე განიხილავს ქალაქის საბჭო.

⁂ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის შუამდგომლობა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ მთავრობამ ჩამოართვას სად. ხაშურსა, სუფსას და სამტრედიის მახლობლად მემამულეებს ლიანდაგ გასწვრივ ნავთის მილის გასაყვანად საჭირო ადგილები. ეს შუამდგომლობა გამოიწვია, თურმე, იმ გარემოებამ, რომ ხსენებულნი მემამულენი მეტის-მეტ ძვირად აფასებენ თავიანთ ადგილებს და რკინის გზის მმართველობასთან ვერ შეთანხმებულანო.

⁂ **ქალაქის განათების უწეს-რიგობა.** ქალაქის პოლიციის მე-8 ნაწილში ბოქაულს მოუხსენებია ტფილისის პოლიცმეისტრისათვის, რომ მისდამი რწმუნებულს უბანში უწესრიგოდ ანათებენ ქუჩა-მოედნებსო; მაგ. ლაზარევისა, კონსტანტინოვისა, პეტრე-პავლეს ქუჩებზე და კახეთის მოედანზე ამას წინეთ ნაშუაღამევის 2 საათიდამ ოცამდე ფარანი არ ენთო და ავლაბარში საზოგადოდ ან სულ არ ანთებენ ფანრებს ან ღამის თორმეტ საათამდე ანთია ხოლმე და ისიც მხოლოდ ბჟუტავს. ბევრი ფარნები დამტვრეულია და ბევრგან კი მხოლოდ ცარიელი ბოძები-ღა დგას. ამის შესახებ „კავკაზი“ საფუძვლიანად შენიშნავს, რომ ეს ბოძები იმიტომა დგანან, რომ ბნელს ღამეში გამვლელ-გამომვლელი დაეჯახოს და მით ქალაქის თვით მმართველობა გაიხსენოს ხოლმეო.

⁂ **„ოფიცერთა დამზოგველის საზოგადოების“ პური გასასყიდათ.** ქალაქის გამგეობას ადგილი დაუთმია „ოფიცერთა დამზოგველ საზოგადოებისათვის“ მუხრან-ბატონის ქუჩისა და შუა-ბაზრის კუთხეში ფარდულის ასიგებად. „საზოგადოებას“ უკვე აუგია ფარდული და შიგ ფურნის პურსა ჰყიდის. ეგ პური ბევრად სჯობს კერძო ფურნეებში გამომცხვარსა, დიდ-ძალი ხალხი ეზიდება მას და ყველანი კმყოფილნი არიან.

⁂ **ქალაქის გლეხთა დეპუტატების არჩევანი.** ტფილისის გუბერნატორს გადაუწყვეტია, რომ ქალაქის გლეხთა (МѢЩАНЕ) დეპუტატეში თითო წლით უნდა იქმნენ ხოლმე არჩეულნი. არჩევანები ამ დღეებში უნდა დაიწყონ და ათი დღის განმავლობაში გათავდეს კიდეც.

⁂ **ბ. სეროზიანცის არჩევის გამო.** ტფილისის გუბერნატორისათვის აქაურს ხელოსნებს საჩივარი მიურთმევიათ ხელოსანთა მოურავად. სეროზიანცის უკანონოდ არჩევანის შესახებ ამის გამო გუბერნატორს არ დაუმტკიცებია ხსენებული არჩევანები და საჩივრების განხილვა მიუნდვია გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა რჩევისათვის.

⁂ **მოქალაქე თავ. აბაშიძის მოკვლის საქმე.** კავკასიის მთავარ-მართებელს ღენერალ-ადიუტანტს თავ. გ. ს. გოლიცინს დაუმტკიცებია სამხედრო სამსჯავროს განაჩენი ბოქაულის თავ. აბაშიძის მოკვლის შესახებ; ამ განაჩენით დამნაშავედ იცნეს მკვლელობაში და მიუსაჯეს: მამედ-სალაა-მაშადი-ისე-ოღლისა და შაფი-ალაავერდი-ოღლის ჩამოხრჩობა, ალექპერ-ტაგი-ოღლის სამუდამოდ კატორღაში გაგზავნა, შაფი-ალაავერდი-ოღლისა და ქერბალაი-ბუდახ-მაშადი-ისა-ოღლის-15 წლით კატორღაში გაგზავნა და დანარჩენები გაამართლეს. მალე სისრულეშიაც მოიყვანებენ ამ განაჩენს.

⁂ **ტივის ბაჟის წეს-რიგის შეცვლის შესახებ.** შინაგან სამინისტროს მთავარ-მართებლის კანცელარიისაგან მოუთხოვნია ცნობები იმის შესახებ, შესაძლებელ იქმნება თუ არა მდ. მტკვარზე ჩამოტანილი ტივებზე მთავრობის ნება-რთვით შემოღებულის ბაჟის წეს-რიგის შეცვლისა.

⁂ **ბილეთის ფასის დაბრუნება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს განკარგულება მოუხდენია, რომ სად. ტფილისზე უკანვე დაუბრუნდესთ ბილეთის ფასი იმ მოგზაურთ, რომელნიც გზების შეკვრისა გამო შუა გზიდამ დაბრუნებულან.

⁂ **საჭირო განმარტება.** უმორჩილესად ვთხოვ ბატ. რედაქტორს, ორიოდესიტყვის თქმის ნება მომეცით მეც და მოათავსეთ თქვენს გაზეთში, ოზურგეთში გამართულ საქველ-მოქმედო საღამოს გამო.

ნათქვამია: „აზამბარელი თათარი გოჰის თავს მედავებოდა“-ო, სწორე მოგახსენოთ, არ მესმის, რას მედავება ბატ. ნიკოლოზ თავდგირიძე. როდის და ვის მივეცი სიტყვა, რომ მონაწილეობას მივიღებ საღამოზე. თედო სახოკია, აგერ თითქმის წელიწადია, რაც თვალით არ მინახავს და ბ-ნ თავდგირიძისათვის არავითარი პირობა, არც სიტყვით და არც წერილით არ მიმიცია. მაშასადამე, არავითარი ნება არა ჰქონდა ღრმად პატივცემულ ბ-ნ ნიკოლოზ თავდგირიძეს ჩემი გვარის გამოცხადება პროგრამმებში. ახირებულია, თქვენმა მზემ!

ვასო აბაშიძე

⁂ **ს. ჩივაანთ უბანი** (ქართ.) **საშინელი და შემაწუხებელი ზამთარი** დაგვიდგა. თოვლი თითქმის ორ არშინამდე დევს. ქარმა და ნამქერმა ხალხი მეტად შეაწუხა. მისვლა-მოსვლა არამც თუ სოფლიდამ სოფლამდე, არამედ მეზობელთანაც ჭირს; 17 იანვარს ისეთი თოვლი მოვიდა ღამით, რომ ერთი საწყალი გლეხკაცის სახლში ბუხრიანში სულ მთლად დაემალა და მეორე დილით ძლივს ამოიყვანეს ცოლ-შვილით. მართლაც რომ საწყლები შესაბრალისნი არიან; იმას გარდა, რომ ქირნახულით და საქონლით დაჩაგრულები არიან, ზამთარიც ასე ემუქრება. ვინ იცის, შემდეგში რა მოელით საწყლებს! რომელ ერთს გაუძლონ: შიმშილს, სიტიტვლეს, თუ საქონლის ავადმყოფობას, რომელიც ულელ ხარს შეჰყურებს და იმის იმედიც არა აქვს, რომ ამ ზამთარს გადურჩნენ.

ელიზბარ ჯაჯანაშვილი

⁂ **ს. დრანდა** (აფხაზეთი) **ცრუ-მორწმუნეობის საზარელი შედეგი.** მარჩიელობას აქაურ მცხოვრებთა შორის კარგი ნიადაგი აქვს გაკეთებული და მაგარი ფესვებიც გაუდგამს. რასაკვირველია, ამ სამწუხარო მოვლენას მეტად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სწავლ-აგანათლების მხრივ ეს მხარე საზოგადოდ ძლიერ დაქვეითებულია და უცოდინარი სოფლელი ადვილად სტყუვდება მარჩიელთა ენის ლაქლაქით. იყო შემთხვევა, რომ მკურნალმა წამალი გამოუწერა ავადმყოფს, მაგრამ ავადმყოფის ნათესავები მაინც მარჩიელს დაეკითხნენ: ვაძლიოთ თუ არა ეს წამალი ავადმყოფსაო; მარჩიელმაც, რომ თავისი ძლიერება არ დაჰკარგოდა, აღუკრძალა წამლის მიღება. ამნაირად, ფილტვების ანთებიანი ავადმყოფი ერთს დღე და ღამე უწამლოდ დარჩა და როდესაც უკანასკნელს წამში ჩადგა ფეხი, მხოლოდ მაშინ გახსნეს წამლები და ასვეს, მაგრამ გვიან-ღა იყო... ახალგაზდა ვაჟკაცმა უდროოდ განუტევა სული! სასურველია, ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს აქაურმა მღვდელმა და აუხსნას ხალხს: — რა არის კარგი და რა არის ცუდი. ქადაგებით და მამობრივას რჩევით ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს და ეს დიდი სამსახურია ხალხისათვის.

Humanus

⁂ **ქ. ახალ-ბაიაზეთი.** (ერევნის გუბ.) **წირვა ქართულ ენაზე.** 14 იანვარს ადგილობრივ ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა ქართულ ენაზე წირვა მამა იოანე ჩიტაძეს მიერ ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორისა ნინოს მოსახსენებლად. წირვას დაესწრო თითქმის ყველა აქ მცხოვრებელი ქართველნი, რომელნიც მეტად ნასიამოვნები დარჩნენ, რადგანაც ამ ჩვენთვის შესანიშნავ დღეს მოისმინეს თავისს დედა-ენაზე წირვა ლოცვა. დიდი მადლობის ღირსია მ. ი. ჩიტაძე, რომელმაც სწორედ დღევანდელ დღეს ქართულ ენაზე აღასრულა წირვა. ეს პირველი შემთხვევაა ქართულ წირვა-ლოცვისა ბაიაზეთში ამ 3—4 წლის განმავლობაში, მაგრამ იმედი გვაქვს, ჩვენი მოძღვარი კიდევ რამთენჯერმე გვაღირსებს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენას.

ადგილობრივი ეკკლესია აშენებულია მართლ-მადიდებელ მოხელე პირთათვის, რომელთა მომეტებულ ნაწილს ამ ჟამად ქართველნი შეადგენენ. (მკვიდრი მცხოვრებელნი ამ ქალაქისა სომხები არიან.) რამდენიმე მოხელის ოჯახის წევრს ქართული ენის მეტი სხვა ენა არ ესმის და კარგს იზამს მ. ი. ჩიტაძე თუ მათ გულისათვის მაინც დრო გამოშვებით სწირავს ქართულ ენაზე. ეს მისთვის ძნელი აღსასრულებელი არ უნდა იყოს, რადგანაც დიაკონი დავიდოვი ქართველია და, როგორც დავრწმუნდით დღეს, კარგადაც ასრულებს თავისს საკითხავ-საგალობელს.

ც—ნა.

⁂ **სტეფანწმინდა** (ხევი) **ქურდობა ხევში.** როგორათაც ამ წარსული წლის უკანასკნელ თვეებში, ეგრედვე ამ რიცხვებშიაც, ჩვენ სამხედრო გზაზედ ხშირ-ხშირად ხდება ქურდ-ბაცაცობა, საცოდავ მგზავრს თითქმის, რომელსაც გზაში ცხენი დაჰვარდნია და საპალნის ზიდვა აღარ შეუძლიან, შიშით გზაში ცხენი ვერარსად აუშვია და დაუსვენებია, ამავე გზაზედ მოსამსახურე დარაჯებისაგან, რომელნიც ღამ-ღამეობით გზებში სადარაჯოდ დაიარებიან, მაგრამ ქართული ანდაზაა: „ჰკარ შინაურსა, თორემ გარეული სად წაგივაო“. სწორეთ ასეა ამავე დარაჯების საქმეცა, რომელნიც, მავნე პირებიდგან დაცვის მაგიერ ისევ საწყალ მთიულ მოხევის, მგზავრებზედ თვითონვე ნადირობენ. მაგალითად: აი როგორათაც 10-ს დეკემბრამდისინ სოფ. ლარსში მოვაჭრე იობა ღუდუშაურს მოჰპარეს 17 ღორი, თუმცა კვალით და ვარაუდით იცოდნენ, რომ დარაჯების ჩანადენი საქმე იყო, მაგრამ, ნამდვილი საბუთი რადგან ხელში არ ეჭირათ, ვერაფერს ხდებოდნენ, და 10-ს დეკემბერს ღამე 12 საათზე შვილმა მისმა კი გიორგი ღუდუშაურმა (რომელიც დასათვალიერებლად მიდიოდა საღორისკენა), შეიპყრო სამი დარაჯი, რომელნიც შესულიყვნენ შიგ საღორეში; საიღბლოდ გიორგის თან წაედო ცალ-ლულიანი თოფი, რომლითაც შეაშინებინა იგინი (ყაზახები) და მისივეც საიღბლოდ საჩქაროდვე მიშველებოდნენ ძმა თვისი იოსებ ღუდუშაური და გლახა სამუკაშვილი, რომელთაც თავიანთივე თოკით და კეტებით გამოერეკათ ლარსის მამასახლისთან და ფოსტის ყაზახების უფროსთან, თუმცა ერთი მათგანი ე. ი. ხალილოვი, გაჰქცეოდათ, მაგრამ ქუდი მისი და ორნიც ამხანაგები კი მოერეკნათ ადგილობრივ უფროსთან.

როდესაც მამასახლისს ეკითხნა რად იყავით ამ დროს საღორეში, რისთვის იპარამდით ღორებსაო? მათ ეპასუხათ, თუმცა ჩვენ, მართალია, ვიპარამდით, მაგრამ ჩვენი უფროსის ბრძანებას ვასრულებდითო, ამაზედ ზემოხსენებულმა იობა ღუდუშაურმა შეადგინა კანონიერი ოქმი, და არზა თერგის ოლქის უფროსთან შესახებ ამ უწესოებისა და ამავე მოკლე ხანში დაკარგულ მისი შენობიდგან 20-ზე მომეტებული ტომარა ქერისა. როდესაც შეიტყვეს

ეს ამბავი ვისაც ეხებოდა, მეტად არ ესიამოვნათ. შეშინდნენ შინაურული წესით შერიგდნენ და 130 მ. გადაუხადეს ხსენებულ ი. ღუდუშაურს, საქმის გაუმჟღავნებლობისათვის...

არც-არავინ პატრონია საცოდავი სიღარიბით წელში მოხრილი მთიულ-მოხევისა და არც არავის სიბრალული და რიდი აქვს მათი. ამავე უკანასკნელ რიცხვებში ლარსისვე ფოსტის სადგურიდგან მოიპარეს იოსებ ბურდულის ორი ძროხა, რომლის კვალიც ჯაირახისკენ გაიტანეს, თუმცა ადგილობრივ ბოქაულს აცნობე და კიდეც დაჰპირდა გამოძიებას, მაგრამ დღესაც არა რომელი განკარგულება არა სჩანს და ისე დაიკარგა, როგორც შარშანდელი თოვლი.

იაგორ ი. ღუდუშაური

⁂ **სად. კარა-სუ.** უბედური შემთხვევა. 19 იანვარს სადგურ კარასუში მოხდა ერთი საზარელი ამბავი: საბარგე მატარებელზე მოსამსახურე კონდუქტორს იური რაშია მატარებლის სადგურიდან წასვლის დროს ერთი ვაგონიდან მეორეზედ გადადიოდა; საწყალს ვაგონზე გადახტომის დროს ფეხი წაუბორძიკდა და შიგ ვაგონის ქვეშ ჩავარდა. ვაგონის თვლებმა ზედ შუა წელზე გადაუარა და იმავე წამში სული ამოხდა. საწყალი ჯერ სულ ახალგაზდა კაცი იყო. მიცვალებული კარასუდან აჯიქაბულში გადმოიტანეს და აქ დამარხეს. კარგი იქნებოდა, რომ რკინის გზის გამგეობა ყურადღებას მიაქცევდეს და აღუკრძალვიდეს მატარებელზე მოსამსახურეებს მატარებლის მსვლელობის დროს ერთი ვაგონიდან მეორეზე გადახტომას, რომლის მიზეზით ბევრი ამისთანა უბედურება ხდება.

კოზმა ჯიბუტი

* * *

ყურ-მოკრული საუბრები

იმედიც კარგი საქონელია. — ლიზიკო, მაშ იმედი გაქვს, რომ ქმარს მალე გაჰყვები!

— იმედი როგორ არა მაქვს, მაგრამ რა გამოვიდა, მარტო ცარიელი იმედით!

— რატომ, იმედიც კარგი საქონელია, ხომ იცი ნათქვამია: იმედიანი შიმშილიც კარგიაო!

— რა თქმა უნდა, იმედი ბევრი რამ არის, მაგრამ მაინც საქმროს მაგიერობას ვერ გასწევს და ცოლად ვერ შემირთავს! მწარედ წამოიძახა ლიზამ!

ქალის ლოღიკა. ახალგაზდა ცოლს უსაყვედურებდა ახალგაზდავე ქმარი: —ჩემო კარგო, ჩვენ რომ ასე ყოველ-დღე ვალები ვიღოთ, მალე გავკოტრდებით კიდეც!

— აბა რა სისულელეს ამბობ, ჩემო ჭკუის კოლოფო, ის-კი არ კოტრდება, ვინც ვალს ღებულობს, არამედ ის, ვინც ვალებს იხდის!

* * *

რედაქციისაგან

ფოთში გუჯუს. თქვენი წერილი შესახებ ლანჩხუთში გარდახდილ პანაშვიდისა ვერ დაიბეჭდება.

ონში მოსაზღვრეს. თქვენი წერილი ბ-ნ დიმიტრის წინააღმდეგ რაჭის ამბების მოთხრობის გამო მეტად პიროვნული ხასიათისაა და მიტომ ვერ დაიბეჭდება. რაც უფრო ბევრი და ხშირად იწერება რომელიმე კუთხიდან სხვა-და-სხვა ამბები გაზეთში, მით უფრო უკეთესია და სასარგებლოა ადგილობრივის საზოგადოებისათვის.

ყვირილაში გიორ. ზენაიშვილს. იქნება თქვენ მართალიც იყოთ, როცა ბ-ნ თავისუფალს უსაყვედურებთ, რომ ყველა შუშით მოვაჭრენი ერთს ტაფაში მოხრაკა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ვერც თქვენ იტყვით უარს, რომ ზოგიერთმა შუშით მოვაჭრეებმა მეტად უღმერთოდ ასწიეს ფასები.

სენაკში მასწავლებელს. იმაზე ნაკლებ, რაც გამოცხადებული გვაქვს, ე. ი. 5 მან. წელიწადში, ვერც ერთს მასწავლებელს ვერ დავუთმობთ, რადგან ჩვენ თვითონ გვიჯდება გაზეთი გაუგზავნელად წელიწადში 4 მ. 80 კ. და ისიც მაშინ, თუ ორი ათასი ხელის-მომწერი გვეყოლება, თუ ნაკლები იქნა, მაშინ შეიძლება გაზეთი ჩვენ უფრო ძვირად დაგვიჯდეს იმაზე რასაც ხელის მომწერთაგან ვღებულობთ ე. ი. 6 მანათზე მეტი. ეხლა აინგარიშეთ სხვა-და-სხვა ხარჯები, ნობათები და სხვა და თქვენც დაგვეთანხმებით, რომ მეტი შეღავათის მოცემა არ ძალგვიძს.

* * *

მეთამბაქოეთა შესახებ

(გაგრძელება)

შაბათს, 17 იანვარს, განაგრძეს ბაასი ისევ საწყობის შესახებ. თავმჯდომარემ ბ. ტარატინოვმა კრების გახსნისთანავე გრძელი სიტყვა წარმოსთქვა მის შესახებ, რომ წარსულს სხდომაზე ზოგიერთა ორატორები მეტის მეტად იჭიანურებდნენ ლაპარაკს და გარდა ამისა ურიგო სიტყვებსაც ხმარობდნენ ხოლმეო.

ეს ვერ ეპაშნიკათ ზოგიერთებს და კინაღამ გაიმართა ამის შესახებ მითქმა-მოთქმა, მაგრამ თავმჯდომარემ აღარავინ ალაპარაკა ამაზე და საქმეს შეუდგნენ.

ა. ს. დანდუროვი. სანამ საწყობზე ვიტყოდე რასმე, მე მინდა გამოვიკვლიო საკითხი—საწყობში მოტანილი თამბაქო ერთმანეთში უნდა იქმნეს არეული, თუ თითოეული წევრის შემოტანილი საქონელი კერძოდ უნდა ინახებოდეს საწყობში, ჩემის ფიქრით, თამბაქო ერთმანეთში უნდა იქმნეს არეული, ხოლო საწყობი, რა გვარიც უნდა იყოს იგი, „სამეურნეო საზოგადოების“ მფარველობით და თაოსნობით გამართოს და კარგი იქნებოდა, რომ ბ. სააქციო ბეგარათა მმართველიც შემწეობას აღმოგვიჩენდეს.

ბ. სტეფანიანცი. მხოლოდ მესამე ხარისხის თამბაქოს არევა შეიძლება ერთმანეთში და ვინც იმას დაიჯინებს, რომ ყველა ხარისხის თამბაქოს არევა მოხერხდება—საქმის სრულს უვიცობას დაგვიმტკიცებს.

ა. ა. ქალანთარი. სასურველია, რომ საწყობში თამბაქოს მიღება და წარმოება ამხანაგობის გამგეობის განკარგულებაში იყოს; გამგეობის წევრნი თვით მწარმოებელთაგან უნდა იქმნენ არჩეულნი; საწყობებში უნდა იქმნენ დაყენებული საქმის მცოდნე და გამოცდილნი პირნი, ან მეურნეობის სამინისტროსაგან დამტკიცებულნი, ან და თვით მწარმოებელთაგან არჩეულნი. საწყობებს ან მწარმოებელთა ამხანაგობა ააგებს, ან მთავრობა. ამ საშუალებებით საქმეც მტკიცე ნიადაგზე დამყარდება და სესხის მიღებაც გაუადვილდება ამხანაგობას ბანკებისაგან.

ბ. კრაევიჩი. მწარმოებელთ ყოველთვის შეუძლიანთ თავიანთი თამბაქო ერთმანეთში აურიონ. ხოლო რაკი საქონელი მექარხნის ხელში გადავა—ეს შეუძლებელია მწარმოებელთათვის დიდს საჭიროებას შეადგენს, საწყობები ახლოს ჰქონდეთ, ხოლო უფრო დიდი ბედნიერება იქმნება მათთვის, რომ ჩარჩებსა და მევახშეებს გადაურჩებოდნენ. ამას მაშინ მივაღწევთ, როდესაც საწყობებში თვით მწარმოებელთაგან არჩეულნი პირნი იქნებიან მათის ინტერესების დამცველებად.

ბ. კოლჩევსკი იმ აზრისაა, რომ გამართოს სახაზინო საწყობები; მისს გამგეთ დანიშნული იყოს მთავრობისაგან მოხელე; მწარმოებელთ მოიტანონ თავიანთი ნაწარმოები თამბაქო და შეინახონ საწყობში; შემოტანილს თამბაქოს გასაღება თვით წარმომადგენელმა უნდა იკისროს, ხოლო საწყობის გამგეობა ყურს უგდებს, რომ თამბაქო არ გაფუჭდეს. „ამხანაგობის“ დაარსება უსაფუძვლოა, რადგან იქ წევრებად მხოლოდ შეძლებული მწარმოებელნი ჩაეწერებიან და იმათ ხომ უამისოდაც შეუძლიანთ თანასწორი ბრძოლა გაუწიონ ჩარჩებს, „ამხანაგობის“ დაარსებით გლეხ-კაცობა და საზოგადოდ ხელ-მოკლე მწარმოებელნი ვერაფერს ისარგებლებენ, რადგან თითქმის $^{99}/_{100}$—ს მათგანს წერა-კითხვის არა ესმის რა(??)

ბ. ი. ქუთათელაძე ამტკიცებს, რომ თუ ამხანაგობა დაარსდა საუცხოვოდ წავა მეთამბაქოობის საქმეო და ნიმუშად იმისა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა არაფერს დაუშლის „საალებ-მიცემო ამხანაგობის“ წარმატებას, მოჰყავს ხონისა და ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის საუცხოვო მდგომარეობა, ხოლო აუცილებლად საჭიროა, რომ საქმეს სათავეში დაუდგეს „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“ და წინ გაუძღვეს მას.

თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი. პირველი საკითხი საშუალებაა, ე. ი. სესხი, და ამის მოპოვება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მეთამბაქოეთაგან წარმოდგენილი თამბაქო ერთმანეთში იქმნება არეული და არა რომელისამე კერძო პირის საკუთრებად იქმნება შენახული. გარდა ამისა საჭიროა, რომ ამხანაგობამ ჯერ ნდობა დაიმსახუროს ბანკების წინაშე და მერმე იფიქროს სესხზე.

ამის შესახებ ბევრი ილაპარაკეს და ბოლოს ა. ს. ნატროშვილმა წარმოსთქვა შემდეგი აზრი: უნდა დაარსდეს ამხანაგობა, ხოლო იმისი გამოკვლევა, თუ როგორი და სახის უნდა იქმნეს ეს „ამხანაგობა“ მივანდოთ საგანგებო კომისსიას, რომელიც დღესვე ავირჩიოთ; ამ აზრისავე იყო ბ. ი. ქუთათელაძე. კრება ხმის უმეტესობით დაეთანხმა ბ. ნატროევის და ი. ქუთათელაძის აზრს და კომისსიაში აირჩიეს: ა. ა. ქალანთარი, ა. ბ. ევანგულოვი, ს. ა. დანდუროვი, ა. ნ. ნატროევი, ა. ა. ენფიანჯიანცი, ი. ქუთათელაძე, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ბ. სტეფანიანცი. ამათ გარდა ლ. ლ. პეოშკემაც თანხმობა განაცხადა კომისსიაში მონაწილეობის მიღებისა.

შემდეგი კრება მოხდა 19 იანვარს და ჩვენც შემდეგს ნომერში მოვიყვანთ მისს სრულს ანგარიშს.

(შემდეგი იქნება)

◆ ◆

სადღეისოდ

ქ-ნ ეფემია მესხის ბენეფისი. დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ჩვენის თეატრის საუკეთესო წარმომადგენლის ეფემია მესხის ბენეფისი. არდგენენ პირველად ქართულს სცენაზე ცნობილს პიესას საფრანგეთის გამოჩენილ მწერალთა სკრიბისა და ლეგუვეს 5 მოქმ. დრამას „ადრიენა ლეკუვრერს“, რომლის შინაარსი მეტად საინტერესოა და შეეხება გამოჩენილის არტისტი ქალის ცხოვრებას და მის თავ-გადასავალს.

ეს პიესა აგერ ორმოცდა-ათი წელიწადი იქნება, რაც დაწერილია და მთელის ქვეყნიერობის თეატრები მოიარა, რადგან ყოველი დრამატიული არტისტი ქალი ხარბად ეტანება ამ მართლაც შესანიშნავ როლს.

ქართველ საზოგადოებას დღეს შემთხვევა ექნება პიესაც გაიცნოს და თან დასტკბეს ეფ. მესხის ხელოვნურის და ღრმად დრამატიულის თამაშით.

ეფ. მესხი კარგა ხანია ქართულ თეატრს გულ-მოდგინედ ემსახურება და ამშვენებს სცენას. თავდაპირველად ჩვენმა ნიჭიერმა არტისტ-ქალმა ქუთაისის სცენაზე დაიწყო მსახიობა და ათიოდ წელიწადს ეწეოდა მძიმე და უმადურ უღელს ქართველ მსახიობისას. ქუთაისში თუ ქართულმა თეატრმა ფესვი გაიდგა—ეს მხოლოდ ეფემია მესხის წყალობით, რომელიც იმის გარდა, რომ ერთად ერთი მსახიობი იყო იმ ხანად, დიდის ნიჭის, დაკვირვების, გონივრული ხელოვნების მეოხებით მოინადირა ქართველ საზოგადოების გული და ხალხი თეატრს შეაჩვია...

აგერ ეს მესამე თუ მეოთხე წელიწადია, რაც ეფემია მესხი ტფილისის სცენაზე თამაშობს და აქაც როგორც ქუთაისში, დღე-დღეზე თანდათან სრულს წარმატებასა და ხელოვნურს განვითარებაში შედის თვითონ და საზოგადოებაშიაც ესტეტიურს გემოვნებას ზრდის და წვრთნის.

ეფემია მესხის თამაშობა ყოველთვის ძლიერის ნიჭით, საგანგებო დაკვირვებით და შრომა-მეცადინეობით არის გამოქანდაკებული. მისის თამაშობის ზედ-გავლენა მუდმივ მძლავრი, წარმტაცი და ხელოვნურია. ეფ. მესხი თითქოს განგებ შექმნილია დრამებისა და ტრაგედიებისათვის: ხმა, თვალი, გარეგნობა—ყოველივე ხელს უწყობს ძლიერის დრამატიულის სულისკვეთების წარმოსადგენად.

ყველა არტისტიულ ღირსებასთან ეფ. მესხს ზნეობრივი ზედ-გავლენაც აქვს ჩვენს ნორჩს სცენაზე: მისი მუყაითობა, გულ-მოდგინეობა და არავითარის „სხვა-და სხვა მიზეზებით“ შეურყეველი ერთგულება სამშობლო თეატრისადმი იმითაც დაამტკიცა, რომ მიუხედავად შინაურულ გარემოებათა, რომელნიც, სამწუხაროდ, ხელს უშლიან ქართულ სცენაზე სამსახურს, იგი მაინც არ ჰღალატობს და არ შორდება იმ სცენას, რომელსაც ასე თავ-გამოდებით შეალია თავისი სიყმაწვილე და რომელიც სამაგიეროდ უსიამოვნების მეტს არას აძლევს...

უეჭველია ქართველი საზოგადოება, ინტელიგენცია და ახალგაზდობა სავალდებულოდ დაინახავს, რომ დღევანდელ წარმოდგენას დაესწროს და მით გამოუცხადოს თავისს ნიჭიერს, ჭკვიანს და კეთილ-შობილ არტისტ-ქალს პატივისცემა და მადლობა იმ სამსახურისათვის, რომელსაც ასე ვაჟკაცურად ეწევა ქალბატონი ეფემია მესხი ქართულ თეატრის საკეთილ-დღეოდ.

W.

* * *

ვინ იყო ადრიენა ლეკუვრერი? ადრიენა ლეკუვრერ ამ ორასის წლის წინად მთელს საფრანგეთში გამოჩენილი არტისტი ქალი იყო; იგი დაიბადა 5 აპრილს 1692 წელს; მას დედ-მამა ღარიბი ჰყავნდა; მამა მექუდე იყო საფრანგეთის ერთს პატარა სოფელში. ადრიენას არავინ ასწავლიდა წერა-კითხვას, მაგრამ სურვილი იმოდენა ჰქონდა, რომ თითონ შეისწავლა და 11—12 წლისა ისე საუცხოვოთ ჰკითხულობდა ფრანგულ ლექსებს, რომ ყველანი განცვიფრებაში მოჰყავდა. სცენისადმი უზომო სიყვარული მან ბავშვობიდანვე გამოიჩინა და სულ 13 წლისა იყო, როცა იგი პირველად ათამაშეს სცენაზე ერთის მეწვრილმანის სახლში;—მისმა მოხდენილმა მიხვრა-მოხვრამ, საუცხოვო დიქციამ და გამბედაობამ მაშინვე თითქმის მთელი საფრანგეთი აალაპარაკა.

პარიზში სცენის-მოყვარენი მიიწვია ერთმა წარჩინებულის წრის მანდილოსანმა თავისს სასახლეში წარმოდგენის გასამართავად; წარმოდგენაში სხვათა შორის ადრიენაც ღებულობდა მონაწილეობას; „ფრანგულ კომედიის“ არტისტებმა იწყინეს ეს და სცდილობდნენ როგორმე ხელი შეეშალათ, მაგრამ ვერა გააწყეს-რა,.. წარმოდგენა გაიმართა და საუცხოვოდაც ჩაიარა... ადრიენამ გაიმარჯვა და სახელი გაითქვა... მალე მას აღმოუჩნდა ერთი მსახიობი მასწავლებლად და ათის წლის განმავლობაში იგი თამაშობდა პროვინციის სცენებზე ლიუნნევილში, ლილში, სტრასბურგში და სხვაგან. შემდეგ პარიზის „ფრანგულ კომედიის“ თეატრში მიიწვიეს და 14 მაისს 1717 წელს პირველად ითამაშა იქ. მისმა ნიჭით აღსავსე თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მთელი პარიზი მისი თაყვანის-მცემელი გახდა; იმ დროს „ფრანგულ კომედია“-ში უპირველეს არტისტ ქალად ითვლებოდა გამოჩენილი და სახელ განთქმული ქ-ნი დიუკლო.

ამას თავმოყვარეობამ დასძლია და დაუწყო დევნა ადრიენას, მაგრამ ვერას გახდა ადრიენა იმდენად შეიყვარა პარიზმა, რომ ამ სიყვარულის გაქარწყლება შეუძლებელი შეიქმნა. ადრიენა ბავშვობითვე შეეჩვია ჭირსა და ვარამს, ჭორები და მითქმა-მოთქმა მისთვის უცხო არ იყო და ამიტომ მედგრად ებრძოდა თა-

ვის ბედსა, განცალკევებით სცხოვრობდა, მაინცა და მაინც არავის ნაცნობობასა და მეგობრობას დაეძებდა, ხოლო იძულებული იყო მაშინდელს «მაღალს წრეში» გართული იყო და იქაც მას დიდის პატივის ცემით ღებულობდნენ. სწორედ ამ მაღალს საზოგადოებაში გააბა იგი მახეში, აქ ნახა მან პირველად საუცხოვო ჭაბუკი გრაფი მორიც საქსონელი და შეიყვარა მთელის გულითა და სულით. მორიც საქსონელი, უკანონო შვილი იყო პოლონეთის მეფის ფრიდრიხ-ავგუსტისა; იგი ომიდამ დაბრუნდა 1720 წელს, 23 წლისა, პოლკოვნიკად. ადრიენა მოხიბლა მან და მასაც შეუყვარდა ადრიენა, მაგრამ მათმა ნეტარებამ სულ სამი წელიწადი გასტანა: მორიცი უყვარდა აგრეთვე ერთს მაღალის წრის მანდილოსანს, ჰერცოგინა ბუილიონისას, რომელიც საოცრად იჭვნეულობდა და ყოველსავე ღონეს ღონობდა, რომ ასინი როგორმე განეშორებია. ბოლოს, რომ ვეღარა მოახერხარა, განიზრახა ადრიენას მოწამვლა და კიდეც სისრულეში მოიყვანა თავისი შემზარავი განზრახვა. მან მოაწამვლინა ადრიენა და საფრანგეთის სცენის საუკეთესო წარმომადგენელი მოკვდა 20 მარტს 1730 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმებმა შეამოწმეს, ვითომ ადრიენა არ იყო მოწამლული, სასულიერო წოდებამ მაინც ნება არ მისცა, რომ მისი ცხედარი ნაკურთხ სასაფლაოზე დაეკრძალად; იგი დამარხეს ღამით სადღაც მდ. სენას ნაპირად და დღესაც არავინ იცის სად არის ამ დიდებული ქალის საფლავი.

პარიზში ხმები დავარდა მაშინ, ადრიანას ცხედარი მოიპარეს, რომ სამუდამოდ დაებნიათ შემაძრწუნებელის ბოროტ-მოქმედების კვალიო.

ასე გაათავა თავისი სახელოვანი დღენი ნიჭით-აღსავსე არტისტ—ქალმა.

სკრიბისა და ლეგუვეს პიესა „ადრიენა ლეკუვრერ" იმ ხანას, როცა ადრიენას ორი მეტოქე ერთად ჰყავნდა: ერთი სცენაზე არტისტ ქალი დიუკლო და მეორე ცხოვრებაში ჰერცოგინია ბულიონისა, რომელიც ისე უწყალოდ უღრღნიდა გულს და ართმევდა ერთად-ერთს მისს სასოებას მორიც საქსონელის სიყვარულს.

* * *

სხვა-და-სხვა ამბავი

„საიდუმლო სახალხო სასამართლო გერმანიაში". ბავარიაში არსებობს ესრედ წოდებული „საიდუმლო სახალხო სასამართლო," რომელსაც ვერც ერთი დამნაშავე ვერ აუქცევს გზას გინდა სახელმწიფო სასამართლომ გაასამართლოს იგი. ამ სასამართლოს შემდეგ ბრალდებულებთანა აქვს საქმე: ქურდებთან, მოკასხმეებთან, მეწყებთან და წრეს გადასულ ლოთებთან, ამ სასამართლოს ვერ აუქცევს გზას ვერც მდიდარი და ვერც ღარიბი და ასე გასინჯეთ სასულიერო პირიც-კი. თუ ვინ არიან ამ საიდუმლო სასამართლოს მსაჯულ-გამგენი არავინ უწყის, რადგანაც მის წევრნი მტკიცე ფიცს აძლევენ, რომ არ გასთქვან ერთმანეთი. როგორც სწარმოებს ეს საიდუმლო სახალხო სასამართლო: ბრალდებულს თავდაპირველად აფთხილებენ და დროს უნიშნავენ, თუ ამა და ამ დროსთვის არ გასწორდები, უსათუოდ დაისჯებაო. თუ არ გასწორდა გაფთხილებული პირი, უსათუოდ სასჯელს უნდა მოელოდეს „საიდუმლო სახალხო სასამართლოსაგან».

აი რაში მდგომარეობს ეს სასჯელი: შუაღამისას უცებ მოულოდნელად გაგაღვიძებს საშინელი ხმაურობა, ყვირილის, დალაბანდისა და საყვირის გვრა, ბღავილი, თოფების სროლა, ერთი აურზაური და დავიდარაბა, რასაც კი შეუძლიან შეგაშინოთ და თავს ზარი დაგცეთ. ასამდის ნიღაბ ჩამოფარებული და გამურული კაცი ყოველ მხრიდამ მოადგებიან ბრალდებულის სახლს, აღვიძებენ მთელს სოფელს, რომ ყველანი მოწამენი იყვნენ მის დაწიოკებისა და დასჯისა, თუ ამ დროს პოლიციის მოხელე შეჰხვდათ ვინმე და ხელის შეშლა მოინდომა, იმას მაშინვე ცემით მოჰკლავენ, ბრალდებულს გამოუძახებენ სახლიდამ და სანთლის შუქზედ დაწვრილებით ჩამოუთვლიან ლექსად დაწერილს ყოველ მის ბოროტ მოქმედებას, კითხვის გათავების შემდეგ ყველანი ხელახლავ ერთხმით მოჰყვებიან ყვირილს, ზარების წკარუნს, ჯაჭვების ჩხაკუნს და სხვა. ამავ დროს ერთი მოსამართლეთაგანი მუქარითა და ჯავრობით მიჰმართავს დამნაშავეს, მერე ერთს დაუსტვენს და ყველანი საჩქაროდ გაჰქრებიან. ასეთი სასჯელის მიყენება დიდ სირცხვილად ითვლება და მისი უფრო ძალიან ეშინიან ხალხს, ვინემ სახელმწიფო სასამართლოსი. ბრალდებულის დაწიოკების წინედ, მეზობლებს წინადვე ატყობინებენ თავიანთს განზრახვას, რომ კინიცობაა საქონელი და ბავშვები არ დაუფთხეთ და შორს სადმე წაიყვანონ.

შ. ფრონელი.

* * *

განცხადებანი

იჯარით ვაძლევ ქალაქის მამულს. შენობიდან შემოდის **ცხრა თუმანი**
მეორე ავრაცკი ქუჩა (მთაწმინდა)
(3—2) ელისბარ ჯაჯანაშვილი

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ იჯარით გაიცემა ქალაქში მოწანწალე ძაღლების დახოცვა და მათი მძორების აკრეფვა. ვინც ამ იჯარის აღებას იკისრებს, პირობების შესატყობლად შეუძლიან მიჰმართოს გამგეობის კანცელარიას ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—3)

Сочиненія
Д. Х. Тутаева:
мысли и афоризмы
часть 1-я, изданіе II и часть 2-я
Маскарадъ (пьеса)
Цѣна каждой 25 коп.
Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ въ Тифлисѣ.

გამოვიდა და ისყიდება
ტფილისის ყველა მაღაზიებში
დ. ქ. თუთაევის თხზულებანი
აზრი და ზნა-მეტყველებანი
მასკარადი (პიესა)
ფასი თითეულისა ხუთი შაური
(5—3)

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში).

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო)	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერის ყდით	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ჩანგი	1—„
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიიერი ყდით	2—50
ჭრაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	„—25
სიბრძნე-სიცრუე, მისივე	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით	1—„
იგავ არაკნი, მისივე	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა	2—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. გახ.-მე ჯ.-რბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტოტსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„—40
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	1—„
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა	1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა	„—25
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით	—30 „—30
სიბრძნე ბალავარისა	„—30

(100—43)

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი"
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
ღებულობს:
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის ძე სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2.

Страховое Общество **„ЯКОРЬ"**
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: Страхованіе отъ огня, страхованіе жизни и капиталовъ страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской площади, д. кн. Циціанова № 2.
(100—99)

ДЕСЯТЬ РУБЛЕЙ

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на ежедневную
политическую и литературную газету
„НАРОДЪ"
на 1898 годъ
(второй годъ изданія).
Подписная цѣна газеты понижена до **ДЕСЯТИ** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россіи.
Посвящая свое изданіе, главнымъ образомъ, разработкѣ текущихъ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа, редакція надѣется, что значительное пониженіе цѣны газеты будетъ способствовать доступу ея въ болѣе обширный кругъ читателей и поведетъ, слѣдовательно, къ болѣе широкому обмѣну мыслей между людьми слова и дѣла и ихъ единенію на пользу общую.

Подписная плата:

	На 12 м.	6 мѣс.	3 мѣс.
Въ Россіи, повсемѣстно, съ пересылкою и доставкою	10 р.	5 р.	2 р. 50 к.
За границею, въ государствахъ почтоввго союза . .	14 ‹	7 ›	3 › 50 ›

Подписка принимается:
Въ С.-Петербургѣ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.
Въ Москвѣ: въ конторѣ биржеваго маклера И. Ю. Щульца (старый гостиный дворъ).
Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращатся въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.
NB. Гг. годовые подписчики получатъ отдѣльнымъ изданіемъ всѣ вышедшія въ русскомъ переводѣ и напечатанныя въ газетѣ «Народъ», до 1-го января 1898 года, главы романа Эмиля Золя «Парижъ».
Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.**
(10—6)

ДЕСЯТЬ РУБЛЕЙ

საფქვავი
წისქვილები
მზადდება ინჟენერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში
МУКОМОЛЬНЫЯ
МЕЛЬНИЦЫ паровыя, водяныя, конноприводныя
изготовляетъ какъ спеціяльность
машино-строительный заводъ инженеровъ
Яралова и Алиханова
въ Тифлисѣ, (100—88)
Александровская улица, собств. домъ

Дозволено пензурою. Тифлисъ, 21-го Января, 1898 г. სტამბა ექ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია